სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 ივლისი, 2026 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-02/128

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ თინათინ გოგოლიშვილის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/29 დადგენილების, „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“ (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №01-06/16 დადგენილება), 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის №01-08/722 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 ივლისის №06-01/61 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/09, 02.07.2026) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES7 26 0000857194, 03.07.2026 წ) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თინათინ გოგოლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის „ინოვაციური ტურისტული პროდუქტების მართვის თავისებურებები საქართველოში“ **საჯარო დაცვა დაინიშნოს 2026 წლის 17 ივლისს,** 14:00 საათზე, 423-ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი №2, მე-4 სართული).
2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ბიზნესის ადმინისტრირების“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   - 2.1. გელა მამულაძე - ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის თავმჯდომარე);**
   - 2.2. ნანული მახარაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **(მდივანი);**
   - 2.3. ნათელა წიკლაშვილი - ბსუ-ს პროფესორი;
   - 2.4. ასიე ცინცაძე - ბსუ-ს პროფესორი;
   - 2.5. ნარგიზ ფალავანდიშვილი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   - 2.6. ბესიკ ბაუჩაძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   - 2.7. რამინ ცინარიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   - 2.8. ია მესხიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   - 2.9. თამარ ღოღობერიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ლ. ცეცხლაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე